ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №21
2023 წლის 23 აგვისტო

ქ. ვანი

„ვანის მუნიციპალიტეტის 2023 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ვანის მუნიციპალიტეტის 2023 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის №30 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge; 23.12.2022 წელი, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.121.016472) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. დადგენილების მე-4 მუხლით დამტკიცებულ „ქრონიკული დაავადებების მქონე პირთა დახმარების პროგრამის“ (დანართი №4) მე-4 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ“ ქვეპუნქტი:

„თ) ცელიაკიით დაავადებული 18 წლამდე ასაკის ბავშვები.“.

2. დადგენილების მე-4 მუხლით დამტკიცებულ „ქრონიკული დაავადებების მქონე პირთა დახმარების პროგრამის“ (დანართი №4) მე-5 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ“ ქვეპუნქტი:

„თ) ცელიაკიით დაავადებული 18 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის – 250 (ორას ორმოცდაათი) ლარი.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედების ვადა განისაზღვროს 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

ვანის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — ალექსანდრე ლილუაშვილი